

სახელმძღვანელო

სამუშაო ადგილზე საქსუალური
შევიწროების შემთხვევების
გამოკვლევა მსხვერპლზე
ორიენტირებული მიდგომით



წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. სახელმძღვანელოს ავტორები არიან პურნა სენი და ქეთევან შუბაშვილი.

წარმოდგენილი ინფორმაცია და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ან/და საჯარო სამსახურის ბიუროს პოზიციებს.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022 წ.

სახელმძღვანელო

სამუშაო ადგილზე საქსუალური

შევიწროების შემთხვევების გამოკვლევა
მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომით



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



სარჩევნი

თარმინთა განმარტება	5	III საქსუალური შვიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების პროცედურების ეფექტიანად გამოყენება	19
შესავალი	7		
I რა არის საქსუალური შვიწროება?	9		
1. განმარტება და საკანონმდებლო საფუძველი	9	1. განჭვრეტადი პროცედურები	19
1.1. საერთაშორისო სტანდარტები	9	2. საქმის განხილვის დაწყება	20
1.2. საქართველოს კანონმდებლობა	10	3. მხარეებთან და მონმეებთან გასაუბრების დაგეგმვა	20
1.3. საქსუალური შვიწროების შემადგენელი ელემენტები, ფორმები და სუბიექტები	10	4. საქმის განმხილველი პირის ფუნქციები სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას	21
1.3.1. საქსუალური შვიწროების შემადგენელი ელემენტები	11	5. გასაუბრება სავარაუდო მსხვერპლთან	21
1.3.2. საქსუალური შვიწროების ფორმები	12	6. საქმის განხილვისას და სავარაუდო მსხვერპლთან კომუნიკაციისას დაშვებული შეცდომები	23
1.3.3. საქსუალური შვიწროების სუბიექტები	12	6.1. დაუშვებელი კითხვები და კომენტარები	25
2. საქსუალური შვიწროება სამუშაო ადგილზე	12	7. საქსუალური შვიწროების ინდიკატორები	25
2.1. რა ზიანი მოაქვს საქსუალურ შვიწროებას სამუშაო ადგილზე?	13	8. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები: სახეები, დასაშვებობა და შეფასება	27
2.2. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვალდებულებები	13	8.1. მტკიცების სტანდარტი	27
2.3. საქსუალური შვიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის სარგებელი საჯარო უწყებებისთვის	14	8.1.1. უნდა სცოდნოდა (ought to have known)	27
		8.1.2. ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable woman standard)	28
II რას ნიშნავს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა?	16	8.2 მტკიცებულებების დასაშვებობა, სახეები და შეფასება	28
1. სამუშაო გარემო და ორგანიზაციული კულტურა	16	8.2.1. მხარეების მიერ მონოდედებული ინფორმაცია	29
1.1. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, როგორც ორგანიზაციული კულტურის ნაწილი	16	8.2.2. მიმონერა	30
1.2. სტერეოტიპები საქსუალური შვიწროების შესახებ და მათი გავლენა	17	8.2.3. აუდიო/ვიდეო ჩანაწერი	31
		8.2.4. მესამე პირების მიერ მონოდედებული ინფორმაცია	32
		8.2.5. ფსიქოლოგის/ფსიქიატრის დასკვნა	32

ტერმინთა განმარტება

გენდერი: ქალებისა და კაცების სოციალურად ჩამოყალიბებული მახასიათებლები, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენენ ნორმები, ქალებისა და კაცების როლები და მათ შორის არსებული ურთიერთობები. მართალია, ადამიანების უმრავლესობა იბადება ან მამრობითი, ან მდედრობითი სქესის, თუმცა, მათ შესაბამის ნორმებსა და ქცევას შემდეგ ასწავლიან. თუ ადამიანები ან ჯგუფები დამკვიდრებულ გენდერულ ნორმებს არ შეესაბამებიან, ისინი შეიძლება დისკრიმინაციას დაექვემდებარონ. სტერეოტიპები, ფასეულობები, დამოკიდებულებები, დაშვებები და აქტივობები, რომლებსაც საზოგადოება ქალებისა და კაცებისთვის შესაფერისად მიიჩნევს, არ არის ფიქსირებული როლები, დროთა განმავლობაში იცვლება და სხვადასხვა საზოგადოებასა თუ კულტურაში განსხვავებულია.

გენდერული როლები: როლები, რომელთა შესრულებას საზოგადოებაში, ოჯახსა თუ სამუშაო ადგილებზე ქალებისა და კაცებისგან მოელოდნენ.

სტერეოტიპები: შეხედულებები ან დაშვებები, მაგალითად, ქალებისა და კაცების შესახებ. ისინი ხშირად დამაკვირვებელია/შემზღვეველია/ნეგატიურია და, მათ შორის, ნასწავლ ან აღქმულ გენდერულ ნორმებს, როლებსა და ურთიერთობებს ემყარება.

სექსიზმი: ნებისმიერი ქმედება, ჟესტი, ვიზუალური გამოხატვა, ნათქვამი თუ დაწერილი სიტყვები, პრაქტიკა ან ქცევა, რომელიც ეფუძნება პირის ან პირთა ჯგუფის დაკნინების იდეას მათი სქესის საფუძველზე.

სექსუალური ორიენტაცია: გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ, ემოციურ თუ რომანტიკულ ლტოლვას სხვა ადამიანისადმი.

სქესი: სქესი განსაზღვრავს, ადამიანი ბიოლოგიურად კაცია თუ ქალია.

დისკრიმინაცია: სხვებთან შედარებით, ადამიანის მოპყრობა ცუდად, უთანასწოროდ, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება მისი რომელიმე პირადი მახასიათებლის (მაგ. სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია და ა. შ.) გამო.

სექსუალური შევიწროება: სექსუალური ხასიათის არასასურველი ფიზიკური, სიტყვიერი თუ არასიტყვიერი ყურადღება, სქესობრივი კავშირის მოთხოვნები და სექსუალური ხასიათის არასასურველი სიტყვიერი თუ ფიზიკური ქცევა.

სექსუალური შევიწროება მტრული გარემოს შექმნით: სექსუალური შევიწროების ფორმა, როდესაც არასასურველ სექსუალურ ქცევას ინტენსიური და რეგულარული ხასიათი აქვს, ხელს უშლის ადამიანის მუშაობას ან სხვა აქტივობას და ქმნის დამაშინებელ, მტრულ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid pro quo) სექსუალური შევიწროება: არის სექსუალური შევიწროების ფორმა, როდესაც ერთ თანამშრომელს აიძულებენ, დაემორჩილოს არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევის გარკვეულ ფორმას რაიმე სამსახურებრივი სიკეთის, მაგალითად, დანინაურების, ან თავად სამსახურის სანაცვლოდ.

სამუშაო ადგილი: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, სამუშაო ადგილი გულისხმობს ყველა ადგილს, სადაც სამსახურებრივი მოვალეობები სრულდება, მათ შორის ოფისს, კლიენტების ოფისებს, მივლინებების დანიშნულების ადგილებს, საქმიანი ლანჩის/სადილის ადგილებს, ბიზნესის ფილიალებს და ა.შ. სამუშაო ადგილად ასევე მიიჩნევა ექსკურსიები, საზოგადოებრივი აქტივობები, დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული თანამშრომელთა შეკრებები სამუშაო დროის დასრულების შემდეგ.

მსხვერპლი (დოკუმენტში ურთიმონაცვლეობით იქნება ასევე გამოყენებული - სავარაუდო მსხვერპლი: საჩივრის ავტორი; ადრესატი): ადამიანი, რომელიც სექსუალურად შეავინროვეს, რომელსაც სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს. ტერმინი „სავარაუდო მსხვერპლი“ გამოიყენება ადამიანის მიმართ, ვიდრე კომპეტენტური პირი ან ორგანო არ დაადგენს, რომ ეს ადამიანი სექსუალურ შევიწროებას დაექვემდებარა.

შემავიწროებელი: (დოკუმენტში ურთიმონაცვლეობით იქნება ასევე გამოყენებული - სავარაუდო შემავიწროებელი, მოპასუხე): ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა სექსუალური შევიწროება. ტერმინი „სავარაუდო შემავიწროებელი“ გამოიყენება ადამიანის მიმართ, ვიდრე კომპეტენტური პირი ან ორგანო არ დაადგენს, რომ ამ ადამიანმა ჩაიდინა სექსუალური შევიწროება.

მესამე პირი; მონმე: ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეს - თავად შეესწრო სექსუალური შევიწროების შემთხვევას ან ამის შესახებ სხვა წყაროდან (მაგ. მსხვერპლი, შემავიწროებელი და სხვა) არის ინფორმირებული.

საქმის/ფაქტის/შემთხვევის განხილვა/გამოკვლევა/მოკვლევა/შესწავლა: კომპეტენტური ორგანოს ან პირის მიერ სექსუალური შევიწროების შემთხვევაზე ჭეშმარიტების დადგენის მიხნით, განხორციელებული ღონისძიებები.

მტკიცების ტვირთი: ფაქტების და მტკიცებულებების მოცულობა, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც აქვთ მხარეებს.

შესავალი

სექსუალური შევიწროება ძალადობის და დისკრიმინაციის ფორმაა, რომელიც ლახავს მსხვერპლის ღირსებას. ზოგჯერ ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, სექსუალური შევიწროება ნაკლებად მძიმე ქცევაში გამოიხატება, თუმცა, მისი შედეგები მსხვერპლისა და გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია. სექსუალურ შევიწროებას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი სახის სამართლებრივ თუ არაფორმალურ ურთიერთობასა და სივრცეში. სტატისტიკურად, შემთხვევების უმრავლესობა ხდება საზოგადოებრივ სივრცეებსა და დასაქმების ადგილებში. როგორც წესი, საჯარო სივრცეში შემთხვევები მსხვერპლისთვის უცნობი პირია, მაშინ, როდესაც სამსახურში მომხდარი სექსუალური შევიწროებისას, შემთხვევები კარგად ნაცნობი ადამიანია, რომელთან კომუნიკაციაც მსხვერპლს, შესაძლოა, ყოველდღიურად უწევდეს.

სექსუალური შევიწროება, როგორც უთანასწორობის, დისკრიმინაციის ფორმა, არაპროპორციულ უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე. თეორიულად, სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს ადამიანების მიმართ მათი სქესის მიუხედავად, თუმცა, პრაქტიკაში შემთხვევების უმრავლესობაში, სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ქალები ხდებიან. აღნიშნული განპირობებულია საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანასწორობით, კაცებს და ქალებს შორის გენდერული როლების და ძალაუფლების დისკრიმინაციული გადანაწილებით. თავის მხრივ, სექსუალური შევიწროება გენდერულ უთანასწორობას კიდევ უფრო მეტად აღრმავებს და მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების ბრძოლას თანასწორობისთვის.

უშუალოდ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების შედეგები დამაზიანებელია როგორც ქალების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის, ასევე, უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. სამუშაო ადგილზე შემთხვევების

უმრავლესობაში შემთხვევები ხელმძღვანელი, გავლენის მქონე პირია, რაც მსხვერპლს დამატებით საფრთხეს უქმნის, რომ შეინააღმდეგების ან გასაჩივრების შემთხვევაში შესაძლოა, დაექვემდებაროს შურისძიებას, დაკარგოს სამსახური, შეექმნას გაუსაძლისი გარემო, დაერღვეს შრომითი ანდა სხვა უფლებები, თავად დაადანაშაულონ შემთხვევების გამომწვევაში და ა. შ.

გლობალური სტატისტიკის მიხედვით მსოფლიოში, საშუალოდ, 18 წლის და მეტი ასაკის ქალების 75% ყოფილა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, რაც, დაახლოებით, 2 მილიარდი ქალია. ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, რომელშიც 42 000 ადამიანი მონაწილეობდა, ყოველ მეორე ქალს (55%) 15 წლის ასაკის შემდეგ ერთხელ მაინც გამოუცდია სექსუალური შევიწროება. სექსუალური შევიწროების პრევენციისა და აღმოფხვრისკენ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), ძალადობის და შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (N190) და სხვა.

ჯერ კიდევ 2006 წელს, ძალადობის აკრძალვასთან მიმართებით, პირველად გამოიყენეს ტერმინი #მეც (#MeToo). 2017 წლიდან კი, ამავე სახელწოდებით, აქტიურად დაიწყო საერთაშორისო კამპანია სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ, რომლის მონაწილე ქალებმაც ხმა მალდა ისაუბრეს მათ მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების შესახებ და საკითხის აქტუალიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი.

საქართველოშიც, სწორედ მსხვერპლების მიერ სექსუალური შევიწროების შემთხვევების გასაჩივრების შედეგად გახდა შესაძლებელი

სექსუალური შევიწროების საკითხის გარშემო დისკუსიის წამოწყება და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი, რომლის მიხედვით, სექსუალური შევიწროება იკრძალება პროვოცირებით ურთიერთობებში.

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი (ანტიდისკრიმინაციული კანონი) მიიღეს, თუმცა, მასში სექსუალური შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა, ასახული არ იყო. კერძოდ, ანტიდისკრიმინაციული კანონის 2019 წლის ცვლილებების საფუძველზე, სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც, სექსუალური შევიწროება, დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმის მსგავსად, ნებისმიერ სფეროში აიკრძალა; დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები სასამართლო და სახალხო დამცველი სექსუალურ შევიწროებაზეც გავრცელდა; სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები გავრცელდა, რომელიც სასამართლოში დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას არეგულირებს. ამის პარალელურად, საქართველოს კანონს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა მუხლი, რომელმაც უშუალოდ საზოგადოებრივ ადგილას ჩადენილი სექსუალური შევიწროება აკრძალა, ეს ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოიაზრა და შესაბამისად, მასზე აღსრულების მექანიზმიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანიჭა.

ამასთან ერთად, სექსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით,

საჯარო უწყებებმა შიდა მექანიზმების დანერგვა დაიწყეს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი პროცესი იყო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, საჯარო სამსახურის ბიუროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც, 2018-2022 წლებში, 11-მა საჯარო უწყებამ შეიმუშავა შიდა მექანიზმი.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს საჯარო უწყებებს სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეაგირების მექანიზმების აღსრულებასა და სექსუალური შევიწროების შემთხვევების ეფექტიანად, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე შესწავლაში.

სახელმძღვანელო დაყოფილია სამ ნაწილად:

პირველ ნაწილში ასახულია სექსუალური შევიწროების შესახებ საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტები, სექსუალური შევიწროების განმარტება, ფორმები და სუბიექტები, ასევე, ყურადღება გამახვილებულია დასაქმების ადგილას სექსუალური შევიწროების სპეციფიკაზე;

მეორე ნაწილში განხილულია მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის მახასიათებლები, ასევე, საუბარია ორგანიზაციული კულტურისა და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების შესახებ;

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი კი უშუალოდ საქმის შესწავლის პროცესს საქმის განხილვის დაწყებას, მხარეებთან და მესამე პირებთან გასაუბრებას, მსხვერპლთან კომუნიკაციას, მტკიცებულებების გამოკვლევას და შეფასებას და სხვა პროცედურულ საკითხებს ეთმობა.

I რა არის საქსუალური შევიწროება?

1. განმარტება და საკანონმდებლო საფუძველი

სექსუალური შევიწროება სქესის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა და აკრძალულია საერთაშორისო დოკუმენტებით და საქართველოს კანონმდებლობით. გენდერული თანასწორობის დაცვის და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩო დოკუმენტი არსებობს, რომელთა უმრავლესობის მხარე საქართველოც არის.

1.1. საერთაშორისო სტანდარტები

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), 1979

დისკრიმინაციის შესახებ კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა, ქალთა მიმართ დისკრიმინაციაში მოიაზრებს გარიყვას ან შეზღუდვას სქესის საფუძველზე, რათა ქალებს ხელი შეეშალოს, უფლებებით და თავისუფლებებით კაცების თანასწორად ისარგებლონ. კონვენცია მოითხოვს ცვლილებებს, მათ შორის, „ჩვეულებებისა და პრაქტიკის გასაუქმებლად, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს“ და ასევე იმ კულტურული მოდელების ცვლილებას, რომელიც ერთი სქესის მეორეს მიმართ დაქვემდებარებულობას და ქალის და კაცის როლების შესახებ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს ეფუძნება. კონვენციის აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის განმარტების თანახმად, გენდერული ძალადობა დისკრიმინაციის ფორმაა,¹ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება კი თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებელია.²

პეკინის მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალებზე, 1995

გაეროს ორგანიზებით, ქალთა უფლებების შესახებ ოთხი მსოფლიო კონფერენცია გაიმართა 1975 წელს მექსიკაში, 1980 წელს კოპენჰაგენში, 1985 წელს ნაირობიში და 1995 წელს პეკინში. პეკინის კონფერენცია გარდამტეხი მოვლენა იყო გენდერული თანასწორობის დაცვის მიმართულებით. კონფერენციაზე 189 სახელმწიფო, საქართველოს ჩათვლით, შეთანხმდა გლობალური გენდერული თანასწორობის გეგმაზე, რომელიც პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის სახელით არის ცნობილი. ეს გეგმა მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას 12 ძირითადი მიმართულებით. ეს მიმართულებებია: სიღარიბის აღმოფხვრა, განათლება და პროფესიული განვითარება, ჯანდაცვა, ძალადობა, შეიარაღებული კონფლიქტები, ეკონომიკა, ქალთა გაძლიერება გადამწყვეტილების მიღების პროცესში, ინსტიტუციური მექანიზმები, ადამიანის უფლებები, მედია, გარემო, გოგოები.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), 2011

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან საკანონმდებლო რეფორმებისა და მსხვერპლების დასახმარებლად პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას და ადეკვატური რესურსების გამოყოფას მოითხოვს.

1 გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი კომენტარები N19 (1992) და 35 (2017).

2 იქვე: ზოგადი კომენტარი N19.

ძალადობის და შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (N190), 2019

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ახალი სტანდარტები შეიმუშავა სამუშაო სივრცეში ძალადობის და შევიწროების აკრძალვის მიმართულებით და სექსუალური შევიწროება ადამიანის უფლებების დარღვევად ცნო. კონვენცია, მათ შორის, მოითხოვს ძალადობის და შევიწროების აკრძალვას, მონიტორინგის და აღსრულების მექანიზმების დანერგვას ან გაძლიერებას, მსხვერპლებისთვის უფლების აღდგენის და მხარდაჭერის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, სანქციების გამოყენებას, ძალადობის და შევიწროების შემთხვევების ეფექტიანი ინსპექტირების და გამოკვლევის უზრუნველყოფას.

მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წელს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ 2030 წლამდე მიაღწიონ მდგრადი განვითარების მიზნებს. მე-5 მიზანი მოიაზრებს გენდერული თანასწორობის და ქალების და გოგოების ეკონომიკური გაძლიერების მიღწევას და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას.

ევროკავშირის 76/207/EEC დირექტივა დასაქმების სფეროში ქალისა და კაცის თანასწორი მოპყრობის შესახებ

დირექტივა სექსუალურ შევიწროებას სქესის ნიშნით დისკრიმინაციად მოიაზრებს და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, გაატარონ პრევენციული ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად არამხოლოდ სამუშაო ადგილზე, არამედ დასაქმების ეტაპზე და კარიერული განვითარების პროცესში.

1.2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობაში, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ნორმა გვხვდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-32 პუნქტში, რომლის თანახმად:

სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი დისკრიმინაციას, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებას, კრძალავს ნებისმიერ სფეროში, ჩადენილს ნებისმიერი პირის მიერ, ნებისმიერი პირის მიმართ.

დამოუკიდებლად არის რეგულირებული საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროება, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 166¹ მუხლით შემდეგნაირად არის განმარტებული:

სექსუალური შევიწროება საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა კი დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამაწორებელ სამუშაოებს 1 თვემდე ვადით.

ამავე სამართალდარღვევის ჩადენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვანის თანდასწრებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 800 ლარამდე ოდენობით, ამ ქმედების განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში ან ორი ან მეტი პირის კი 800 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 თვემდე ვადით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ კოდექსის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევა არის პირისთვის სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და ასეთი ფრაზებით მიმართვა, გენიტალიების

ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

1.3. სექსუალური შევიწროების შემადგენელი ელემენტები, ფორმები და სუბიექტები

როგორც აღინიშნა, სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის/უთანასწორობის ფორმაა და გულისხმობს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც პირისთვის არასასურველია და ლახავს მის ღირსებას ანდა ქმნის პირის ღირსების შემლახავ, დამაშინებელ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან მტრულ გარემოს. სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი მძიმე ფორმა არის მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რაც პირისთვის სექსუალური ურთიერთობის ნაცვლად რაიმე სახის სარგებლის შეთავაზებას გულისხმობს. ესე იგი, სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს სექსუალური ხასიათის ერთჯერადი ან მრავალჯერადი ქცევით (მაგ. შხება, სექსუალური ხასიათის კომპლიმენტები და ა. შ.) მტრული გარემოს შექმნაში ან ხელმძღვანელის მიერ დასაქმებულისთვის სექსუალური ურთიერთობის სანაცვლოდ სარგებლის შეთავაზებაში.

1.3.1. სექსუალური შევიწროების შემადგენელი ელემენტები

- ▶ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ქცევა სექსუალური ხასიათის. თუ ქცევა კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ არ არის სექსუალური ხასიათის, სექსუალურ შევიწროებად არ ჩაითვლება.
- ▶ რომელიც ადრესატისთვის არასასურველია მსხვერპლის მიერ არასასურველობა შეიძლება გამოხატული იყოს ერთმნიშვნელოვნად ან ფარულად. ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი პირდაპირ და აშკარად ვერ აფიქსირებს, რომ სექსუალური ქცევა მისთვის არასასურველია. მსხვერპლი შეიძლება თავაზიანად, მეგობრულად ცდილობდეს კომუნიკაციის დასრულებას, შეიძლება თავს არიდებდეს შემავიწროებელს

ან ამ კომუნიკაციას ეთანხმებოდეს კიდევ, იმის მიუხედავად, რომ ეს მისთვის არასასურველია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებებით, რომ მსხვერპლს არ სურდეს სექსუალურ შევიწროებაზე ყურადღების გამახვილება, ერიდებოდეს დაძაბულობას, არ იყოს დარწმუნებული საკუთარ თავში, არ ჰქონდეს ინფორმაცია, როგორ შეიძლება მოქცევა, ეშინოდეს სამსახურის დაკარგვის ან სხვა პრობლემის შექმნის და ა. შ.

- ▶ მიზნად ისახავს ან ინვეს (ესე იგი, შეიძლება იყოს ჩადენილი როგორც განზრახ, ასევე, განზრახვის გარეშე) ხშირ შემთხვევაში, შემავიწროებელი მსხვერპლს განზრახ ავიწროებს, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც შემავიწროებელს ასეთი განზრახვა არ აქვს, მაგალითად, მისი ქცევა არის ფამილიარული, მისი აზრით, მეგობრული, განპირობებულია არაჯანსაღი შრომითი კულტურით, თუმცა, რეალურად, სექსუალურ შევიწროებას სჩადის.
- ▶ პირის ღირსების შელახვას ანდა დამაშინებელი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან მტრული გარემოს შექმნას სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევა სწორედ მაშინ ხდება სექსუალური შევიწროება, როდესაც პირს ღირსებას ულახავს ან მტრულ გარემოს უქმნის. ეს შეიძლება სხვადასხვა გარემოებებში გამოიხატოს, მაგალითად, შემცირდეს მსხვერპლის სამუშაო პროდუქტიულობა, გაუარესდეს მისი მენტალური ჯანმრთელობა, მსხვერპლი თავს არიდებდეს სამსახურში მისვლას. ძალიან ხშირად, სექსუალური შევიწროების ქალებს იმდენად მტრული გარემო ექმნებათ, რომ სასახურს ტოვებენ.

ადამიანმა შეიძლება თავი სექსუალურად შევიწროებულად იგრძნოს, ანუ შეეღახოს ღირსება ან შეექმნას მტრული, დამამცირებელი, დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი გარემო ერთჯერადი სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევით ან ასეთი ქცევების განმეორებადობის შედეგად. ეს დამოკიდებული იქნება სავარაუდო მსხვერპლის სუბიექტურ აღქმაზე ან/და ქცევის სიმძიმეზე.

1.3.2. სექსუალური შევიწროების ფორმები

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს, მათ შორის, შემდეგ ქცევებში:

- ხუმრობები
- კომენტარები პირის სხეულზე/ჩაცმულობაზე
- კომენტარები სექსუალური გამოცდილების შესახებ
- ინტიმური ხასიათის კითხვების დასმა, მაგ. სექსუალური ცხოვრების შესახებ
- სახელის/ტელეფონის ნომრის განუწყვეტელი მოთხოვნა
- სექსუალური/პორნოგრაფიული ხასიათის ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის გაგზავნა, ჩვენება, ნახვის იძულება
- სექსუალური სახელის/მეტსახელის დაძახება
- სექსუალური ხასიათის ფოტო-ვიდეო მასალის გაგზავნა
- დაუინებელი მხერა
- სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაცია
- ხელის შეხება
- პირადი სივრცის დარღვევა და ა. შ.

1.3.3. სექსუალური შევიწროების სუბიექტები

- ▶ სექსუალურ შევიწროებას, ძირითადად, ქალები ექვემდებარებიან, თუმცა, მსხვერპლი ასევე შეიძლება იყოს კაცი.
- ▶ სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სამსახურებრივი პოზიციის მიუხედავად
- ▶ შემავიწროებელი, ხშირად, ხელმძღვანელი პირია, თუმცა, სექსუალური შევიწროება ასევე შეიძლება გამოვლინდეს იმავე რანგის ან უფრო დაბალ პოზიციაზე მყოფი პირისგან
- ▶ სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანებს შორის
- ▶ სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც მეორე პირისთვის არანებაყოფლობითი და არასასურველია და მას არაკომფორტულ გარემოს უქმნის, არ შეიძლება რაიმე გამართლება ჰქონდეს

2. სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე

სექსუალური შევიწროება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, სივრცესა თუ გარემოში. თუმცა, როგორც საერთაშორისო ასევე, საქართველოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად, სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე ხდება. შემთხვევების უმრავლესობაში, შემავიწროებელი ხელმძღვანელი პირია, რომელიც, როგორც წესი, სექსუალური შევიწროებისას ძალაუფლებას იყენებს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შემავიწროებლები არიან იმავე რანგის ან უფრო დაბალ პოზიციაზე მყოფი პირებიც. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამუშაო ადგილზე მომხდარი სექსუალური შევიწროება წესრიგდება როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სამუშაო ადგილი განიმარტება ფართოდ. ამ მხრივ, მოსაყენებელია ძალადობისა და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N190 კონვენციის ჩანაწერი,

რომელიც განმარტავს, რომ სამუშაო ადგილი არის

- ▶ ნებისმიერი საჯარო და კერძო სივრცე, სადაც სამუშაო ხორციელდება
- ▶ ადგილი, სადაც დასაქმებულს ანაზღაურება აქვს, სარგებლობს შესვენებით ან საკვებით, იყენებს ჰიგიენის და დასაბან სამუშაოებს და გამოსაცვლელ სივრცეს
- ▶ სამუშაოსთან დაკავშირებული მივლინებები, მგზავრობა, ტრენინგები, ღონისძიებები ან სოციალური აქტივობები
- ▶ სამუშაოსთან დაკავშირებული კომუნიკაციები, მათ შორის, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მეშვეობით
- ▶ დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილი და
- ▶ გზა სამუშაომდე და სამუშაოდან

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების მომეტებული რისკის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „შრომის კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი კრძალავს სექსუალურ შევიწროებას:

სექსუალური შევიწროება არის პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევა არის პირისთვის სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და ასეთი ფრაზებით მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

2.1. რა ზიანი მოაქვს სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილზე?

- ▶ სექსუალურმა შევიწროებამ, შესაძლოა, მსხვერპლს ფსიქო-ემოციური ტრავმა მიაყენოს ანდა მისი სამუშაო პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად შეამციროს, მათ შორის, სამუშაოს დატოვება გადაწყვეტინოს
- ▶ სექსუალურმა შევიწროებამ, შესაძლოა, სხვა თანამშრომლების შრომით პროდუქტიულობაზეც მოახდინოს უარყოფითი გავლენა
- ▶ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლების გადინება
- ▶ აზიანებს სამუშაო ადგილზე გენდერულ თანასწორობას

უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციის გამართულად მუშაობაზე

შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე

2.2. ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები

ორგანიზაციაში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხელმძღვანელზე.

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით, რომლის მიზანიც საჯარო დაწესებულებაში ეთიკური გარემოს შექმნა და საჯარო მოსამსახურის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებაა, კრძალავს სექსუალურ შევიწროებას. დადგენილების მე-15 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, საჯარო მოსამსახურე კარგადაა ინფორმირებული სექსუალური შევიწროების ფენომენისა და ამგვარი პრაქტიკის დაუშვებლობის შესახებ, როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში, არ ახორციელებს სექსუალურ შევიწროებას, ინფორმირებულია ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუნეებრივი და ზოგადი პროცედურების შესახებ. ასევე, საჯარო მოსამსახურე, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს რეაგირებას და მაღალი მგრძობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ეყვრობა სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართულ ნებისმიერ განხილვას, კომუნიკაციასა თუ ქმედებას.

ამასთან, საქართველოს კანონის „შრომის კოდექსის“ 78-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებლის მიერ სექსუალური შევიწროების შესახებ დებულების („შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი) დარღვევა გამოიწვევს სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ მიერ გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ჯარიმის ზოგადი ოდენობის სამმაგი ოდენობით, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა

ვი დაჯარიმებას დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. ამასთან, სექსუალური შევიწროებისას სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამსაქმებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. დამსაქმებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისთვის ცნობილი გახდა სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა შრომის ინსპექციას ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირს შეუძლია:

- ▶ შეიმუშაოს სექსუალური შევიწროების შიდა პრევენციული გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ორგანიზაციის სტრუქტურას იქნება მორგებული, დეტალურად იქნება განერილი საჩივართან დაკავშირებული პროცედურები და პრაქტიკაში ეფექტიანად იქნება გამოყენებული. ამ გზით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს;
- ▶ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს არავინ აკეთებს, თუმცა ხელმძღვანელს აქვს ინფორმაცია, ან ამჩნევს, რომ ორგანიზაციაში ხდება სექსუალური შევიწროება, ან შესაძლოა, ქმედება მომავალში გადაიზარდოს სექსუალურ შევიწროებაში, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები (მაგალითად, გაესაუბროს სავარაუდო შემავიწროებელს); ასევე, თუ შევიწროება მოხდა ორგანიზაციის მანდატს გარეთ, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ხელმძღვანელმა სამართლებრივი რეაგირება ვერ მოახდინოს, მნიშვნელოვანია, მსხვერპლს ამ შემთხვევაშიც აღმოუჩინოს მორალური თუ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- ▶ საჩივრის წარდგენის გამო, სავარაუდო მსხვერპლს არ შეუზღუდოს უფლებები ანდა არ გაუუარესოს მდგომარეობა;
- ▶ საქმის შესწავლის პროცესში, სავარაუდო მსხვერპლს გაუწიოს მორალური მხარდაჭერა;

▶ გაიაზროს საჩივრების არარსებობის ან ნაკლებობის მიზეზები – როგორც კვლევა გვიჩვენებს, მსხვერპლებს, რომლებიც საჩივარს აკეთებენ სექსუალური შევიწროების შესახებ, აქვთ უარესი კარიერა, მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობა იმათთან შედარებით, ვინც ფორმალურ საჩივარს არ აკეთებს. კვლევებით ასევე ვლინდება, რომ საქმის შესწავლა, ხშირად, არაეფექტიანია, შემავიწროებელს პასუხისმგებლობა იშვიათად ეკისრება და, როგორც წესი, სამსახურისთვის ანდა კარიერისთვის თავის დანებება მსხვერპლებს უწევთ (Dobbin and Kalev 2020).

2.3. სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის სარგებელი საჯარო უწყებებისთვის

სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტის არსებობა საჯარო უწყებებისთვის მხოლოდ ვალდებულებების ქონას არ გულისხმობს. ასეთ დოკუმენტს ორგანიზაციისთვის ასევე მოაქვს სარგებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ეფექტიანად გამოიყენება და მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტად არ რჩება. მსგავსი მექანიზმები საქართველოს არაერთ უწყებაში დამტკიცებული.³

საჯარო უწყებებისთვის ამ დოკუმენტის სარგებელი შეიძლება იყოს:

- ▶ სექსუალური შევიწროების პრევენცია ორგანიზაციაში როდესაც თანამშრომლები ინფორმირებულები არიან სექსუალური შევიწროების აკრძალვის და ამ მიმართულებით საჯარო უწყების პოლიტიკის შესახებ, ერთი მხრივ, პოტენციური შემავიწროებელი, მაღალი ალბათობით, მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე, თავს იკავებს სექსუალური შევიწროებისგან, მეორე მხრივ, სავარაუდო მსხვერპლს მეტი შესაძლებლობა აქვს, საფუძველშივე აღკვეთოს სექსუალური შევიწროება და თავადვე მოაგვაროს სიტუაცია

3 იხ. <https://myrights.gov.ge/ka/news/1858-seqsualur-shevitsroebaze-reagirebis-shida>

- ▶ ორგანიზაციის რეპუტაციის დაცვა ნაკლები ალბათობაა, რომ ფაქტის შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყების გარეთ გავიდეს. მაშინაც კი, თუ ფაქტის შესახებ ორგანიზაციის გარეთ გაიგებენ, ფაქტის ეფექტიანად შესწავლის შემთხვევაში, ორგანიზაციის რეპუტაციას საფრთხე არ ემუქრება
- ▶ საქმის სწრაფი გადაწყვეტა საჯარო უწყების შიგნით უფრო მეტი ინფორმაცია არსებობს

სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ. შესაბამისად, უფრო მარტივია გამოსაკითხი პირების იდენტიფიცირება; სხვა მტკიცებულებების შეგროვება;

- ▶ დოკუმენტის შესაქმნელად ორგანიზაციას არ დასჭირდება ცვლილებების განხორციელება შიდა რეაგირების დოკუმენტი საჯარო უწყების სტრუქტურასა და უკვე არსებულ სხვა შიდა დოკუმენტებზეა მორგებული.

II რას ნიშნავს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა?

სამუშაო ადგილზე მომხდარი სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლის პროცედურა განსხვავდება სხვა დისციპლინური წარმოებებისგან, რამდენადაც, მისი შესწავლისას აუცილებელია, არამხოლოდ კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება, არამედ ასევე, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, რაც გულისხმობს მრავალი სოციალური და ფსიქოემოციური ფაქტორის მხედველობაში მიღებას, მათ შორის, დაშვებას, რომ სავარაუდო მსხვერპლი სიმართლეს ამბობს, არ ტყუის, ჭეშმარიტება კი ფაქტის შესწავლის შედეგად გამოიკვეთება.

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა ორი მიმართულებით – სამუშაო გარემო და ორგანიზაციული კულტურა, რომელშიც ეს პროცედურები გამოიყენება. ეს სახელმძღვანელო განერს საქმის შესწავლის პროცედურებს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომით, როდესაც ამოსავალი სავარაუდო მსხვერპლის გამოცდილება და მოლოდინებია. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს სამუშაო ადგილზე, როგორც სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოსა და კულტურის შექმნას პრევენციულად, ასევე, საჩივრის შემთხვევაში, მის ეფექტიანად გამოკვლევას.

1. სამუშაო გარემო და ორგანიზაციული კულტურა

ზოგჯერ სექსუალური შევიწროების გამომწვევი მიზეზი კონკრეტულ ორგანიზაციაში არსებული შრომითი კულტურაა როდესაც გენდერული უთანასწორობა და დისკრიმინაციული მოპყრობა მიღებული, ნორმალიზებული პრაქტიკებია. თუ დასაქმებულს ექნება მოლოდინი, რომ მის საჩივარს ამ აღქმებზე დაყრდნობით განიხილავენ, ბუნებრივია, ნაკლები ალბათობაა, რომ მან საჯარო უწყების შიდა საჩივრის პროცედურა გამოიყენოს. სექსუალური შევიწროების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, ორგანიზაციაში დასაქმებული, განსაკუთრებით ხელმძღვანელო თანამდებობებზე მყოფი პირები თავისუფლები იყვნენ საზოგადოების ნაწილში გავრცელებული სტერეოტიპებისგან, რომლებიც სექსუალური შევიწროების შესახებ მცდარ წარმოდგენებს ქმნის.

შევიწროება შეიძლება მომხდარიყო (ამ) კონკრეტულ ორგანიზაციაში; სექსუალური შევიწროება მსხვერპლისთვის დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ქმედებაა, რომელმაც, შესაძლოა, მძიმე ფსიქო-ემოციური შედეგები გამოიწვიოს; რომ სავარაუდო მსხვერპლის მონათხრობი სინამდვილეს შეესაბამება. ძირითადად, საჯარო უწყებაში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია, თუ რამდენად სერიოზულად არის აღქმული და რამდენად ეფექტიანად არის შესწავლილი სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრები. სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლის დაწყებისას, მნიშვნელოვანია დაცული იყოს არამხოლოდ განერილი, ფორმალური პროცედურები, არამედ ასევე ყურადღება გამახვილდეს იმ ძირითად ფაქტორებზე, რაც მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დასაწერად არის მნიშვნელოვანი, მათ შორის, მხედველობაში მიღება, რომ:

1.1. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, როგორც ორგანიზაციული კულტურის ნაწილი

აუცილებელია, საჯარო უწყებაში საქმის შესწავლა დაიწყოს იმ განწყობით, რომ სექსუალური

- ▶ მნიშვნელოვანია გამართული რეგულაციების არსებობა, რომ მხარეების მიერ დასმულ ყველა

კითხვას გაეცეს პასუხი. პროცედურების შესახებ ზუსტი ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლს შესაძლებლობას აძლევს, უფრო მარტივად მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის შეტანის შესახებ

- ▶ სექსუალური შევიწროება ადამიანისთვის თავისთავად მიუღებელი/არასასურველი ქცევაა. თუ ქცევა მისაღებია, ის სექსუალური შევიწროება არ არის
- ▶ სექსუალური შევიწროება, როგორც წესი, ფარულად, მხოლოდ ორ ადამიანს შორის ხდება, მას შეიძლება მოწმე არ ჰყავდეს
- ▶ როგორც წესი, სექსუალური შევიწროების შემთხვევები არ გამოირჩევა მტკიცებულებების სიმრავლით. ხშირად, შემავიწროებელი ერიდება მტკიცებულების შექმნას (მაგ. მიმონერას, შესამე პირის თანდასწრებით შევიწროებას)
- ▶ დაუშვებელია, სექსუალური შევიწროება ორგანიზაციული კულტურით გამართლდეს
- ▶ სექსუალური შევიწროების მსხვერპლს ყოველთვის არ შეუძლია, შემავიწროებელი თავად შეაჩეროს ან დაუყოვნებლივ წარადგინოს საჩივარი
- ▶ სექსუალური შევიწროების მსხვერპლს ყოველთვის არ შეუძლია აშკარად დააფიქსიროს, რომ შემავიწროებლის ქცევა მისთვის არასასურველია
- ▶ სექსუალური შევიწროების მსხვერპლს, ტრავმის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლოა, ფაქტები თანმიმდევრულად არ ახსოვდეს, რომელიდაც ფაქტი ვერ გაიხსენოს, მისი მონათხრობი ძალიან დეტალური არ იყოს, თან ახლდეს უზუსტობები
- ▶ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, შესაძლოა, სხვადასხვა დროს (მათ შორის, დიდი დროის შუალედით) მომხდარ ფაქტებზე მიუთითებდეს
- ▶ სავარაუდო მსხვერპლი, საქმის შესწავლის არც ერთ ეტაპზე, არ შეიძლება იყოს ვალდებული, სავარაუდო შემავიწროებელს პირისპირ შეხვდეს

1.2. სტერეოტიპები სექსუალური შევიწროების შესახებ და მათი გავლენა

საზოგადოების ნაწილში, სექსუალური შევიწროების და მისი მსხვერპლების შესახებ არაერთი სტერეოტიპი და მცდარი მოსაზრებაა გავრცელებული. არასწორი ინფორმაციის ქონა მნიშვნელოვნად უშლის ხელს სექსუალური შევიწროებიდან მომდინარე საფრთხის გააზრებას, მის პრევენციას და მასზე ეფექტიან რეაგირებას. საჯარო უწყებაში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისთვის აუცილებელია, ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები თავისუფლები იყვნენ მსგავსი სტერეოტიპებისგან. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მცდარია მოსაზრებები/სტერეოტიპები, რომ:

- ▶ თუ მოძალადე ამას წინასწარი განზრახვით არ აკეთებს, მაშინ ეს სექსუალური შევიწროება არ არის
- ▶ სექსუალური შევიწროების სერიოზულობა გაზვიადებულია; უმეტესი ნაწილი უბრალო და უვნებელი ფლირტია
- ▶ სექსუალური შევიწროება იშვიათია
- ▶ ქალები, რომლებიც სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ხდებიან, ხშირად გამოხედვით, ჩაცმულობითა თუ ქცევით თავად ახდენენ მის პროვოცირებას
- ▶ თუ სექსუალურ შევიწროებას ყურადღებას არ მიაქცევ, ის შეწყდება

არასწორმა ორგანიზაციულმა კულტურამ და წინასწარგანწყობებმა, შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს საქმის შესწავლის პროცესზე და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელი გახადოს. მაგალითად, ხანდახან, სექსუალურ შევიწროებაში მსხვერპლს ადანაშაულებენ, რომ მან გამოიწვია ან დროულად არ შეაჩერა შემავიწროებელი. სავარაუდო მსხვერპლის მიმართ ზოგიერთმა კითხვამ ან კომენტარმა, შეიძლება, საქმის შესწავლას თავიდანვე არასწორი მიმართულება მისცეს (იხ. შესაბამისი კითხვები მე-9 თავში).

ამასთან, ორგანიზაციის მანკიერი კულტურის გათვალისწინებით, მსხვერპლმა შეიძლება თავი შეიკავოს საკუთარ გამოცდილებაზე სხვასთან საუბრისგან ანდა საჩივრის შეტანისგან, რადგან:

- ▶ ჩათვალოს, რომ არავინ დაუჭერებს ან შემაჯინრობელის გამონწვევაში მას დაადანაშაულებენ
- ▶ ჩათვალოს, რომ ეტყვიან, რომ ქცევა, რომელსაც თავად სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევს, მისთვის სასურველი იყო; კაც მსხვერპლს დასცინებენ, რომ ქალის ქცევა შევიწროებად აღიქვა
- ▶ გაიხსენოს კოლეგის ცუდი გამოცდილება, რომლის საჩივარსაც არასერიოზულად/არაეფექტიანად მოეკიდნენ

▶ არ იყოს დარწმუნებული, რომ დაცული იქნება სტიგმისგან გარიყავენ გუნდიდან როგორც „დამბეზღებელს“, „კაცთმოძულეს“ ან „სამსახურში პრობლემების შემქმნელს“

- ▶ არ ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია საჩივრის პროცედურის შესახებ ვის შეიძლება ენდოს; რა დრო დასჭირდება საჩივრის განხილვას; რა შეიძლება იყოს გასაჩივრების შედეგი
- ▶ ეშინოდეს შურისძიების რომ საჩივრის შეტანის გამო სამსახურში მისი მდგომარეობა გაუარესდება
- ▶ ჰქონდეს კითხვები კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ვის და რამდენ ადამიანს ექნება ნვდომა მის საჩივარზე?

III საქსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების პროცედურების ეფექტიანად გამოყენება

სექსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტის მიღება და პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენება, საჯარო უწყებაში სექსუალური შევიწროების შემთხვევების შემცირების და თავიდან აცილებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. პრაქტიკაში დოკუმენტის

ეფექტიანად გამოყენება გულისხმობს როგორც განჭვრეტადი და დეტალური რეგულაციების და პროცედურების არსებობას, ასევე, საქმის შესწავლის პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას.

1. განჭვრეტადი პროცედურები

სექსუალური შევიწროების შემთხვევის ეფექტიანად განხილვისთვის, მნიშვნელოვანია გამართული რეგულაციების და პროცედურების არსებობა. ეს დაეხმარება როგორც მხარეებს, ასევე საქმის განმხილველ პირებს. მნიშვნელოვანია, საჯარო უწყებას დეტალურად ჰქონდეს განერილი საქმის განხილვის ყველა დეტალი, რომ პრაქტიკაში შეუფერხებლად გამოიყენოს. უშუალოდ პროცედურების გარდა, აუცილებელია, დოკუმენტში ასახული იყოს:

- ▶ საქმის განმხილველი პირის/პირების აცილების შესაძლებლობა თუ რომელიმე მხარე თვლის, რომ საქმის განმხილველი რომელიმე პირის აცილება მიზანშეწონილია, მას უნდა ჰქონდეს ამ პირის სხვა თანამშრომლით ან ორგანიზაციის გარეშე პირით ჩანაცვლების შესაძლებლობა
- ▶ საქმის მასალების ორივე მხარისთვის გადაცემის აუცილებლობა მხარეებს გადაეცემათ როგორც ერთმანეთის მიერ წარმოდგენილი, ასევე, საქმის განმხილველი პირების მიერ მოპოვებული ფაქტები და მტკიცებულებები, თუ

რომელიმე მტკიცებულება არ მოიცავს მესამე პირების პერსონალურ მონაცემებს

- ▶ კონფიდენციალურობა საქმის განხილვაში ჩართული ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის საქმის შესწავლის პროცესის შედეგად გახდა ცნობილი
- ▶ შურისძიებისგან/ვიქტიმიზაციისგან დაცვა საჩივრის ავტორმა და მონემ უნდა იცოდნენ, რომ საჩივრის შეტანის ან ინფორმაციის მიწოდების გამო, მათი უფლებები არ შეიზღუდება, სამსახურში მათი მდგომარეობა არ გაუარესდება
- ▶ კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა საჩივრის ავტორმა უნდა იცოდეს, რომ საჩივრის შიდა მექანიზმის გამოყენების მიუხედავად, მას უფლება აქვს, საჩივრის გაკეთებამდე, საჩივრის განხილვის პროცესში ან გადანყვეტილების მიღების შემდეგ, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს სასამართლოს ან საქართველოს სახალხო დამცველს.

2. საქმის განხილვის დაწყება

საჩივრის შეტანის შემდეგ, როგორც წესი, საჯარო უწყების ხელმძღვანელი ან/და კომისია იღებს გადაწყვეტილებას საქმის განხილვის დაწყების ან არ დაწყების შესახებ. თუ საქმის განხილვის დაწყების საფუძველი არ არსებობს, საჩივრის ავტორს აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს მაღალი მგრძობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

საქმის განხილვის დაწყების შემთხვევაში, საქმე გადაეცემათ განხილვაზე პასუხისმგებელ პირებს, რომელთა ფუნქციაა, შეაგროვონ ფაქტები და მტკიცებულებები მიუკერძოებლად, კონფიდენციალურად და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომით. მათ უნდა დაიცვან განერილი პროცედურები, ორივე მხარეს მოუსმინონ და პროცესი ეფექტიანად წარმართონ.

3. მხარეებთან და მონშეებთან გასაუბრების დაგეგმვა

სექსუალური შევიწროების საქმის განხილვისას, როგორც წესი, მხარეებთან და მესამე პირებთან გასაუბრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სენსიტიური ელემენტია. სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგალითად, შურისძიების შიში, უხერხულობა და ა. შ), გამოსაკითხი პირებისთვის, შეიძლება, რთული და სტრესული იყოს სავარაუდო სექსუალური შევიწროების შესახებ საუბარი, ამიტომ, განხილვის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია, გამოსაკითხი პირები, გასაუბრებისას, თავს კომფორტულად გრძობდნენ. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, ყველა გასაუბრება კარგად დაიგეგმოს.

ვინ რა თანმიმდევრობით უნდა გამოიკითხოს: საჩივრის ავტორი, სავარაუდო შემავიწროებელი, მონშეები, სხვა თანამშრომლები. ყველა ადამიანი უნდა გამოიკითხოს ცალ-ცალკე.

ვინ სად უნდა გამოიკითხოს აუცილებელია გამოსაკითხი სივრცის წინასწარ შერჩევა. მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა არამხოლოდ იმ მხრივ, რომ გასაუბრებას გარეშე პირები არ ესწრებოდნენ,

საქმის შემსწავლელი გუნდი უნდა შედგებოდეს ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ ცოდნა მოკვლევის, შესაბამისი შიდა პოლიტიკის, პროცედურების და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის შესახებ. მნიშვნელოვანია, გუნდის წევრებს ტრენინგი ჰქონდეთ გავლილი სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ. გუნდის არც ერთი პირი არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე მხარესთან. ზოგჯერ უკეთესია, გუნდის ერთ-ერთი წევრი ორგანიზაციის გარედან იყოს მონშეული.

საქმის შემსწავლელი პირები იკვლევენ/შეისწავლიან სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტს, ხელმძღვანელი კი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სანქციის დაკისრების ან არდაკისრების შესახებ.

არამედ ასევე, სხვა პირებისთვის შეუმჩნეველი უნდა დარჩეს, რომ ამ სივრცეში გასაუბრება ტარდება. კარგი იქნება, თუ გასაუბრების სივრცეს თავად გამოსაკითხი პირი შეარჩევს. თუ სექსუალური შევიწროებისგან მიღებული ტრავმა ძალიან ძლიერია, საჩივრის ავტორს შეიძლება, გასაუბრების ოთახის წინასწარი მონახულება ან გასაუბრებამდე ონლაინ შეხვედრა დაეხმაროს. ეს შესაძლებლობა საჩივრის ყველა ავტორს უნდა შეეთავაზოს. თუ საჩივრის ავტორი თანახმაა, შეიძლება, გასაუბრება ონლაინაც შედგეს. აუცილებელია, ინტერვიუერი დარწმუნდეს, რომ მსხვერპლი იმ სივრცეში თავს უსაფრთხოდ გრძობს და თავისუფლად შეუძლია საუბარი, კარგი იქნება, ასევე, თუ ინტერვიუერი გამოსაკითხ პირს შეუთანხმდება კონკრეტულ სიგნალზე, რომელსაც პირი იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუ თავისუფლად საუბარს ვეღარ შეძლებს.

ვინ როდის უნდა გამოიკითხოს მნიშვნელოვანია, გასაუბრება ისეთ დროს ჩაინიშნოს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მეორე გასაუბრებისთვისაც დარჩეს დრო.

ვინ როგორ უნდა გამოიკითხოთ გასაუბრებისას მნიშვნელების მონიშვნა ან ჩანაწერის გაკეთება მნიშვნელოვანია, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს ისე, რომ გამოსაკითხი პირისთვის დაძაბულობის

მომტანი ან სტრესული იყოს. კარგი იქნება გასაუბრებაზე ორი ადამიანის დასწრება, რომელთაგან ერთი პირს გამოჰკითხავს, მეორე კი მის საუბარს მონიშნავს.

4. საქმის განმხილველი პირის ფუნქციები სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას

სავარაუდო მსხვერპლთან ეფექტიანი გასაუბრებისთვის მნიშვნელოვანია, დეტალურად იყოს განერილი საქმის განმხილველი პირის ფუნქციები. საქმის განმხილველი პირი:

- ▶ ხსნის შეხვედრას/გასაუბრებას
- ▶ სვამს ზოგად, განსჯისგან თავისუფალ კითხვებს, მაგალითად, კიდევ რა მოხდა? მნიშვნელოვანია, თავიდან ავირიდოთ კონკრეტული კითხვები, რომელზე პასუხიც კი ან არა არის
- ▶ სვამს კითხვას, რომელიც იმგვარადაა ფორმულირებული, რომ წინასწარ განწყობას არ გამოხატავს
- ▶ გამოსაკითხ პირს განუმარტავს, რომ საჩივარი სერიოზულად იქნება განხილული; გამოკვლევის დასრულების შემდეგ, დასკვნა გადაეცემა ხელმძღვანელს, რომელიც მიიღებს

გადანწყვეტილებას კონკრეტული დონისძიების გატარების (სანქციის დაკისრების ან არდაკისრების) შესახებ; ორივე მხარეს ეცნობება საბოლოო გადანწყვეტილების და შედეგების შესახებ

- ▶ გამოსაკითხ პირს განუმარტავს, რომ გასაუბრება და საქმის გამოკვლევის მთელი პროცესი კონფიდენციალური იქნება
- ▶ განუმარტავს, რომ შურისძიება/ვიქტიმიზაცია დაუშვებელია და გამოსაკითხ პირს აწვდის ინფორმაციას, ვის შეუძლია მიმართოს, შურისძიების/ვიქტიმიზაციის შემთხვევაში
- ▶ მხედველობაში იღებს გამოსაკითხი პირის სპეციალურ ან სამედიცინო საჭიროებებს (მათ შორის, რაც შეიძლება პირს განსახილველი საქმისგან დამოუკიდებლად ჰქონდეს)

5. გასაუბრება სავარაუდო მსხვერპლთან

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება, საჩივრის განხილვის და ორგანიზაციაში სექსუალური შევიწროების პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეიძლება შედგეს, როგორც მის მიერ საჩივრის შეტანამდე (როდესაც მას საჩივრის შეტანის შესახებ გადანწყვეტილება მიღებული არ აქვს), ასევე, უშუალოდ საჩივრის განხილვის ეტაპზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გასაუბრებისას მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვნად განაპირობებს საჯარო უწყებაში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას და კონკრეტული ფაქტის ეფექტიანად შესწავლას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია პირს, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს ესაუბრება, ჰქონდეს ინფორმაცია სექსუალური შევიწროების საქმეებში კომუნიკაციის სპეციფიკასთან დაკავშირებით, რომელსაც პრაქტიკაშიც გამოიყენებს. ამ მიზნით,

- ▶ **მიეცით სავარაუდო მსხვერპლს შესაძლებლობა**, თავად მართოს სიტუაცია დაინყოს ამბის მოყოლა, თუნდაც, მათ შორის, არარელევანტურ გარემოებებზე მითითებით; არ შეაწყვეტინოთ; გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება, ემოციური მდგომარეობის გამო, შეჩერება/თხრობის შეწყვეტა მოუწიოს. სექსუალური შევიწროების გამოცდილება, მათ შორის, ნიშნავს, რომ მსხვერპლი თავად ვერ მართავდა

სიტუაციას. მსხვერპლს უფლება აქვს, გააკეთოს ან არ გააკეთოს საჩივარი, მოგვიანებით შეიტანოს საჩივარი ან გამოიხმოს. არ შეიძლება მსხვერპლის იძულება, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ფორმალური თუ არაფორმალური პროცედურა. აუცილებელია, ორივე სახის პროცედურა იდენტურ დაცვის მექანიზმებს ითვალისწინებდეს, რათა მსხვერპლი არ გახდეს იძულებული, მისი ნების წინააღმდეგ გააკეთოს არჩევანი

- ▶ **დაუსვით კითხვები და მოუსმინეთ განსჯის გარეშე**, გამოხატეთ ემპათია. სექსუალური შევიწროების გამოცდილებას თან ახლავს საკუთარი თავის დადანაშაულების განცდა. მნიშვნელოვანია მსხვერპლის დახმარება, რომ ეს ფიქრი უარყოს. აუცილებელია, მსხვერპლისთვის მარტივად იყოს გასაგები საჩივრის და მხარდაჭერის პროცედურები, რომ საჩივრის შეტანა არ არის აუცილებელი დაუყოვნებლივ, შეუძლია ხელმძღვანელს მოგვიანებითაც მიმართოს. სავარაუდო მსხვერპლი, შეიძლება, არ იყოს მზად, ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად, ამიტომ მნიშვნელოვანია იგრძნოს, რომ აქვს დრო და მხარდაჭერა
- ▶ **განუმარტეთ, რომ მესამე პირებისგან კონფიდენციალურობა დაცული იქნება.** მსხვერპლმა, შესაძლოა, ჩათვალოს, რომ საჩივრის შეტანის შემდეგ, მისი ისტორია სამსახურში ყველასთვის ცნობილი გახდება, ყველა მასზე ილაპარაკებს, ყველა მას განსჯის, ამიტომ მსხვერპლმა ზუსტად უნდა იცოდეს, ვის ექნება წვდომა მის შესახებ ინფორმაციასთან, და რომ კონფიდენციალურობა დაცული იქნება.
- ▶ **განუმარტეთ ყველა პროცედურა.** მნიშვნელოვანია, სავარაუდო მსხვერპლი ინფორმირებული იყოს საქმის გამოკვლევის ყველა პროცედურის და შესაძლო განვითარების შესახებ, აუცილებელია, მსხვერპლთან სათანადო კომუნიკაცია. ამის გარეშე, შეიძლება, სავარაუდო მსხვერპლმა ვერ იგრძნოს, რომ სიტუაციის მართვაში მონაწილეობს. მნიშვნელოვანია, სავარაუდო მსხვერპლი საჩივრის განხილვის მიმდინარეობის და ყველა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დროულად იყოს ინფორმირებული და

მას ეს ინფორმაცია სავარაუდო შემავიწროებელზე გვიან არ მიეწოდოს.

- ▶ **საქმის განხილვის ყველა ეტაპზე დაიცავით მხარეთა თანასწორობის პრინციპი.** სავარაუდო მსხვერპლს და სავარაუდო შემავიწროებელს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერის სერვისზე, ინფორმაციაზე, გასაჩივრების პროცედურაზე და ა. შ.
- ▶ **დაიწყეთ საქმის განხილვა წინასწარი განწყობის გარეშე** (ჰქონდა თუ არა ადგილი სექსუალურ შევიწროებას). უბრალოდ დაუშვით, რომ რასაც მსხვერპლი ამბობს, შეიძლება ნამდვილად მომხდარიყო. ხშირად, სექსუალური შევიწროების ფაქტის განხილვაზე პასუხისმგებელი პირები იყენებენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოქმედ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და სავარაუდო მსხვერპლის მიმართ ემპათიის გამოხატვას ერიდებიან. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა არც მოითხოვს თავიდანვე იმის გადამწყვეტას, რომ სექსუალური შევიწროება მოხდა, არამედ ეს მიდგომა გულისხმობს დაშვებას, რომ რასაც სავარაუდო მსხვერპლის ამბობს, შეიძლება, მართლაც მომხდარიყო.
- ▶ **უზრუნველყავით სავარაუდო მსხვერპლის უსაფრთხოება.** საქმის შესწავლაზე პასუხისმგებელი პირები სექსუალური შევიწროების პრევენციის სტანდარტების შესახებ კარგად ინფორმირებულები და საკითხის მიმართ მგრძობიარეები უნდა იყვნენ. სექსუალური შევიწროების გამოცდილებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სტრესი, დაბნეულობა, თვითდადანაშაულება, უნდობლობა, სამსახურის დატოვება. სავარაუდო მსხვერპლმა შეიძლება დატოვოს სამსახური, თუ სექსუალური შევიწროების გამოცდილება იყო ტრავმული, პატივი არ სცეს მის მონათხრობს ანდა არ მოხდა ფაქტის გამოკვლევა. სავარაუდო მსხვერპლის დადანაშაულება სხვისი საქციელის გამო ასევე უწყობს ხელს მის ტრავმირებას. ტრავმის სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს დაუყოვნებლივ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ან საერთოდ შეუმჩნეველი დარჩეს. სექსუალური შევიწროების შესწავლაზე პასუხისმგებელი პირი,

პირველ რიგში, ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ სავარაუდო მსხვერპლი უსაფრთხოდ არის აღარ ემუქრება სექსუალური შევიწროება ან შურისძიება საჩივრის შეტანის გამო. არ მიიჩნით, რომ ყველა კითხვაზე გაქვთ პასუხი ჰკითხეთ მსხვერპლსაც. ჰკითხეთ მსხვერპლს, ხომ არ სურს, სავარაუდო შემავიწროებლისგან ფიზიკურად გაიმიჯნოს მისი სამუშაო გარემო განსხვავებული სამუშაო საათების, სამუშაო სივრცის შეცვლის ან ანაზღაურებადი შვებულების მეშვეობით. არაფერი დააძალოთ მსხვერპლს. თუ მსხვერპლს აქვს საფრთხის შეგრძნება, რომ

შეიძლება მას კიდევ მიაყენონ შეურაცხყოფა, მნიშვნელოვანია იმ ადამიანის იდენტიფიცირება, რომელთან ერთადაც ის „უსაფრთხოების გეგმის“ შედგენას შეძლებს. სავარაუდო მსხვერპლმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ მისი საჩივრის შესახებ სავარაუდო შემავიწროებელსაც ეცნობება/ეცნობა. მსხვერპლს შეიძლება არ სურდეს რომ იმავე ან მომდევნო დღეებში ოფისში იყოს. მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდო მსხვერპლს მიუსადაგოთ სამუშაო გარემო, რომ მან თავი უსაფრთხოდ იგრძნოს.

6. საქმის განხილვისას და სავარაუდო მსხვერპლთან კომუნიკაციისას დაშვებული შეცდომები

არსებობს რამდენიმე სახის შეცდომა, რომელიც საჩივრის განხილვის პროცესს მნიშვნელოვნად აზიანებს. ეს შეცდომებია:

უნდობლობა. ბევრი ადამიანი სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალის საჩივარს აღიქვამს, როგორც არადაამაჯერებელს. შიში, რომ მათ არ დაუჯერებენ, მნიშვნელოვნად აფერხებს ქალებს. ხშირად, ხელმძღვანელები ან საქმის შესწავლაზე პასუხისმგებელი სხვა პირები სავარაუდო მსხვერპლს იმგვარად განუმარტავენ (ან მათი განმარტებიდან გამომდინარეობს) უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, თითქოს ეს ნიშნავს, რომ მათ ქალის მონათხრობის არ უნდა სჯეროდეთ. როგორც წესი, მსხვერპლისთვის ეს მესიჯი აღიქმება როგორც მის მიმართ უნდობლობა.

არ შეიძლება, დამსაქმებელმა, სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტის შესწავლისას სისხლის სამართლის სტანდარტებით იხელმძღვანელოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის გამოყენების ნაცვლად, სჯობს, არ გაკეთდეს არანაირი წინასწარი დაშვება.

არ შეიძლება, რომ საქმის შემსწავლელმა პირმა უნდობლობა გამოამუდავოს. მსხვერპლისადმი ადამიანური და მზრუნველი მოპყრობა არ ნიშნავს თქმას, რომ მისი გჯერა. საქმის შემსწავლელმა

პირმა უნდა გაიაროს ტრენინგი ან სხვა სახის მომზადება, თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხარი მსხვერპლს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ წინასწარი მოლოდინების შექმნის გარეშე.

დამაჯერებლობა და მანიპულაცია. საჩივრის შეტანის შემდეგ, სავარაუდო მსხვერპლები, ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მათი მონათხრობი მიჩნეულია, როგორც სუბიექტური აღქმა, ხოლო თუ ამბავს თანმიმდევრულად ვერ ჰყვებიან, მათ არადაამაჯერებლად მიიჩნევენ. ასეთი დამოკიდებულების შედეგად, შეიძლება, სავარაუდო მსხვერპლმა თავისსავე მონათხრობში შეიტანოს ეჭვი ანდა საჩივრის გახმობა გადაწყვიტოს, რადგან ჩათვალოს, რომ შეიძლება, შურისძიებას დაექვემდებაროს. ამ მხრივ, მენტალური შეზღუდვის ან ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე მსხვერპლის მიმართ შეიძლება, მეტი უნდობლობა არსებობდეს რომ ის ფაქტს სწორად ვერ აღიქვამდა, მისი ნდობა არ შეიძლება და ა. შ. შესაბამისად, საქმის შემსწავლელმა პირმა თავიდან უნდა აირიდოს მანიპულაციის შესაძლებლობა.

სტიგმა. ადამიანებმა, რომლებიც სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივარს აკეთებენ, იციან, რომ არსებობს მათი დადანაშაულების და სტიგმატიზების რისკი. ხშირად, ადანაშაულებენ მსხვერპლს (რატომ გეცვა ასე? რატომ დალიე? და ა. შ.) და არა სავარაუდო შემავიწროებელს.

თუ მსხვერპლმა დაამტკიცა საკუთარი სიმართლე, მასზე, შესაძლოა ისაუბრონ, როგორც ქალზე, რომელმაც დაამარცხა კაცი, ის შეიძლება მოაზრონ სირთულეების შემქმნელად და ასეთმა განწყობებმა შესაძლოა მას მომავალში ხელი შეუშალოს სამსახურის პოვნაში ან დანიშნულებაში. საჩივრის წარუმატებლობის შემთხვევაში კი, მსხვერპლზე შეიძლება შეიქმნას აზრი, რომ ის არის მატყუარა, სირთულეების გამომწვევი და ა. შ.

საჩივრის გაკეთების შემთხვევაში, სტიგმას კაცის ექვემდებარება. მასზე შეიძლება თქვან, რომ არ არის ნამდვილი კაცი, სუსტია, სექსუალურ ქცევას ვერ აკონტროლებს და ა.შ. როგორც წესი, კულტურული ნორმები, სექსუალური ქცევის ინიციატორად და, შესაბამისად, კონტროლის მქონედ, კაცს მოიაზრებს და სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მას ვერ აღიქვამს.

აუცილებელია, ხელმძღვანელებმა და საქმის განმხილველმა პირებმა თანამშრომლებამდე მკაფიოდ მიიტანონ მესიჯი, რომ დაუშვებელია სტიგმატიზაცია და მსხვერპლის დადანაშაულება.

შურისძიების შიში. როგორც წესი, სექსუალურ შევიწროებას საფუძვლად უდევს უთანასწორობა. რაც უფრო მეტი ძალაუფლება აქვს შემავიწროებელს, მით მეტი შესაძლებლობა აქვს, რომ მის წინააღმდეგ საჩივრის ავტორზე შური იძიოს. სავარაუდო მსხვერპლმა იცის ამის შესახებ და, შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს საჩივარზე უარის თქმის საფუძველი.

აუცილებელია, ორგანიზაციას ჰქონდეს შურისძიების/ვიქტიმიზაციის წინააღმდეგ ეფექტიანი პოლიტიკა. მნიშვნელოვანია, თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ეს პოლიტიკა არსებობს არამხოლოდ ფორმალურად, არამედ ასევე პრაქტიკაში, რომ მათ რეალურად დაიცავენ. ამისთვის, საჭიროა, არსებობდეს პრაქტიკული მაგალითი, როდესაც საჩივრის ავტორი შურისძიებას არ დაექვემდებარა.

არასათანადოდ განჭვრეტადი პროცედურები; უსამართლო შედეგის შიში. სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის შეტანა შეიძლება დაკავშირებული იყოს ბუნდოვან, მსხვერპლისთვის უცნობ პროცედურებთან. მას შეიძლება ბევრი კითხვა ჰქონდეს, მაგალითად, როგორ კეთდება საჩივარი; რა დრო სჭირდება საქმის განხილვას; ერთზე მეტჯერ/რამდენჯერ მოუწევს თავისი ამბის მოყოლა; თუ შეიტყობს შემავიწროებელი მისი მონათხრობის შესახებ; თუ იქნება დაცული შემავიწროებლის რისხვისგან; ვინ დაუჭერს მას მხარს; რა სახის მხარდაჭერას მიიღებს და ა. შ.

მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირის დაუსჯელობის საკითხი. ხშირია შემთხვევები, როდესაც შემავიწროებელი, რომელიც მაღალ პოზიციას იკავებს, დაუსჯელი რჩება. მსხვერპლს ამის შესახებ შეიძლება ინფორმაცია ჰქონდეს სხვა თანამშრომლების ცუდი გამოცდილების ან მენეჯერების მიმართ ხელმძღვანელი პირების ზოგადი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

გაჭიანურებული, რთული და უსამართლო გასაჩივრების პროცესი. მსხვერპლი შეიძლება ინფორმირებული იყოს სხვების გამოცდილების შესახებ, როდესაც სექსუალური შევიწროების ფაქტის გასაჩივრების შემდეგ პროცესი გაჭიანურდა, საჩივრის ავტორს სავარაუდო შემავიწროებლის გვერდით მუშაობა მოუწია ან საჩივარმა რაიმე შედეგი არ მოიტანა.

6.1 დაუშვებელი კითხვები და კომენტარები

დაუშვებელია სავარაუდო მსხვერპლისთვის მსგავსი კითხვების დასმა ან კომენტარების გაკეთება:

- ✗ რატომ იყავი ოფისში მასთან ერთად მართო?
- ✗ რა გეცვა?
- ✗ ისეთი მომხიბვლელი ხარ, არ მიკვირს, ყურადღება რომ მოგაქცია
- ✗ წვეულებაზე ალკოჰოლს სვამდი?

- * ამბობ, რომ ეს ადრეც მომხდარა, თუმცა, არავისთვის არ გითქვამს, ეს ცოტა უცნაურია
- * ალბათ შენგანაც იგრძნობოდა ინტერესი
- * ნამდვილად კარგად აუხსენი, რომ არ იყავი მისით დაინტერესებული? ხანდახან ქალები ამბობენ არას, მაგრამ სხვა რამეს გულისხმობენ
- * უთხარი გაჩერებულიყო? თუ არა, აბა რა პრობლემაა?
- * შენ მგონი იუმორის გრძნობა არ გაქვს
- * ადრე თუ არ გაგიკეთებია საჩივარი, ახლა რატომ ასაჩივრებ?

ხანდახან, ზოგიერთი თანამშრომლის მონათხრობი ნაკლებ დამაჯერებლად მიიჩნევა და მის ნათქვამზე არასწორ, ღირსების შემლახავ კომენტარებს აკეთებენ:

- * ისე მიჭირს ამის დაჯერება
- * ალბათ არასწორად გაიგე, რაც თქვა/გააკეთა
- * ვერ იქნება სიმართლე, ნამდვილად ცდები
- * ჩემი აზრით, მისი ყურადღება მოგეწონა
- * მგონი გაიხუმრა და შენ ვერ მიხვდი
- * კომპლიმენტების შევიწროებისგან გარჩევა უნდა ისწავლო

7. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები

სამართლებრივად, სექსუალური შევიწროების დასადგენად, სახეზე უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც ადრესატისთვის არასასურველია და მას ღირსებას ულახავს ანდა მტრულ გარემოს უქმნის. ამ კომპონენტების იდენტიფიცირების პრაქტიკაში გამოვლენის გასამარტივებლად, იდენტიფიცირდა ინდიკატორები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში, მიანიშნებენ, შეიძლება თუ არა ადგილი ჰქონოდა სექსუალურ შევიწროებას რამდენად შესაძლებელია, რომ კონკრეტულ ქმედებას პირი შეევიწროებინა და საქმის განმხილველ პირებს ფაქტის შესწავლის პროცესში ეხმარება. ეს ინდიკატორებია, მათ შორის:

- ▶ **ხანგრძლივობა** შეიძლება, რომელიმე ქცევამ (მაგალითად, ფიზიკურმა შეხებამ, ყურებამ და

- * თუ ერთხელ მოხდა, არა უშავს
- * ქალები არ არიან შემავიწროებლები
- * ეს უბრალო ფლირტი იყო

ასევე, ზოგიერთი ადამიანის მიმართ, შეიძლება არსებობდეს წინასწარი განწყობა, რომ შეუძლებელია, მას სექსუალური შევიწროება ჩაედინა, რის გამოც, საქმის შესწავლის პროცესში, სავარაუდო მსხვერპლთან მსგავსი კომენტარები კეთდება:

- * ის ძალიან კარგი ადამიანია, ამას არ გააკეთებდა
- * მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, არა მგონია, ეს გაეკეთებინა
- * დიდი ხანია, ვიცნობ, ამას არ გააკეთებდა
- * მის შესახებ ასეთი რამ აქამდე არ გამიგია, არა მგონია, სიმართლე იყო
- * დარწმუნებული ვარ, ცუდი განზრახვა არ ჰქონდა
- * მისთვის კარიერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დარწმუნებული ვარ, ამას არ გააკეთებდა.

ა. შ.) მცირე ხნის განმავლობაში, ადამიანს არ შეუქმნას დისკომფორტი, თუმცა, ხანგრძლივი დროით გაგრძელების შემთხვევაში, სექსუალურ შევიწროებას წარმოადგენდეს.

- ▶ **განმეორებადობა** ერთჯერადმა ქცევამ (მაგალითად, სექსუალური ხასიათის ხუმრობამ, და ა. შ.), შეიძლება ადამიანს არ შეუქმნას დისკომფორტი, თუმცა, განმეორებების შემთხვევაში უკვე სექსუალურ შევიწროებას წარმოადგენდეს.
- ▶ **გარემო/სიტუაცია** მნიშვნელობა აქვს, რა გარემოში/სიტუაციაში მოხდა ქცევა, რამდენად იყო ეს ქმედება შესაფერისი გარემო/სიტუაციასთან. როდესაც გარემო ფორმალურია, მაგალითად, დასაქმების ადგილი, საგანმანათლებლო დაწესებულება, ვიზიტი ექიმთან, მეტი

ალბათობაა, რომ სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის მიუღებელი იქნება;

▶ **მსხვერპლის მდგომარეობა** ხშირად, შემავიწროებელი პირის შევიწროებას ბედავს მისი დაუცველი მდგომარეობის გამო. მაგალითად, თუ მსხვერპლს ცუდი სოციალური მდგომარეობა აქვს ან კონკრეტულ სოციალურ/სივრცეში ახლობელი ადამიანები არ ჰყავს. ასევე, როგორც პარაქტიკა ცხადყოფს, სექსუალური შევიწროების მიმართ განსაკუთრებით მონყვლადები პარტნიორს დაშორებული ქალები არიან. მსგავსი ფაქტორების მხედველობაში მიღება საქმის განმხილველ პირს დაეხმარება გაიაზროს, რატომ აირჩია შემავიწროებელმა კონკრეტული მსხვერპლი, რატომ ვერ გაუწია მსხვერპლმა შემავიწროებელს სათანადო წინააღმდეგობა, რატომ არ დატოვა მსხვერპლმა დროულად კონკრეტული სივრცე/კომუნიკაცია და ა. შ.

▶ **შემავიწროებლის შესაძლებლობა, გავლენა იქონიოს მსხვერპლზე** თუ შემავიწროებელი გავლენიანი პირია ან შესაძლებლობა აქვს გავლენა უშუალოდ მსხვერპლზე ჰქონდეს. შეიძლება, შემავიწროებელი, საზოგადოებაში ან კონკრეტულ სოციალურ/სივრცეში ისეთი რეპუტაციით სარგებლობდეს, რომ მსხვერპლმა მიიჩნიოს, რომ მასთან შეწინააღმდეგების ან საჩივრის შეტანის შემთხვევაში, თავად დაზარალებულია; შემავიწროებელი შეიძლება მსხვერპლის სამსახურებრივი ხელმძღვანელი იყოს ან სხვაგვარად ჰქონდეს გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე, კარიერაზე და ა. შ.

▶ **ურთიერთობა მსხვერპლსა და შემავიწროებელს შორის** იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა მსხვერპლისთვის შემავიწროებლის

ქცევა ღირსების შემლახავი ან მტრული გარემოს შემქმნელი ყოფილიყო, ხშირად, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს, რამდენად ახლო ან ფორმალური ურთიერთობა იყო მხარეებს შორის, მათი ურთიერთობიდან გამომდინარე, რამდენად ადეკვატური იყო კონკრეტული ქცევა. შეიძლება, ადამიანისთვის კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისაღები იყო (მაგალითად, არსებობდა ორმხრივი ურთიერთობა), თუმცა, შემდეგ მიუღებელი და მტრული გარემოს შემქმნელი გახდა.

▶ **სხვადასხვა მსხვერპლთან მსგავსი ქცევა** ის გარემოება, რომ პირმა რამდენიმე ადამიანი შეავიწროვა სექსუალურად, თავისთავად არ ნიშნავს, რომ კიდევ ერთს შეავიწროებდა ყველა ინდივიდუალური შემთხვევა დამოუკიდებლად გამოკვლევას საჭიროებს. თუმცა, წარსულში ან პარალელურად შევიწროებული მსხვერპლების რაოდენობა და მათთან მსგავსი ქცევა, შეიძლება, სხვა გარემოებებთან ერთად, ერთ-ერთი ინდიკატორი გახდეს, რომ სექსუალურ შევიწროებას ჰქონდა ადგილი.

ამ ინდიკატორების გამოყენება სავალდებულო არ არის, ისინი უბრალოდ გვეხმარება საქმის სწორად წარმართვასა და სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის შესახებ გადამწყვეტილების მიღებაში. საქმეების ნაწილში, შეიძლება, არც ერთი ინდიკატორი არ იყოს გამოსადეგი, ნაწილში კი ერთი ან რამდენიმე გამოვიყენოთ. არის შემთხვევები, როდესაც სექსუალური შევიწროება იმდენად ნათელი და მძიმედ გამოხატულია, რომ, შესაბამისი მტკიცებულებების არსებობისას, მისი დადგენა ინდიკატორებზე მსჯელობის გარეშეც შესაძლებელია.

8. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები: სახეები, დასაშვებობა და შეფასება

სექსუალური შევიწროების შემთხვევების განხილვისას გამოიყენება დისკრიმინაციის საქმეებში გამოსაყენებელი მტკიცების ტვირთის სტანდარტი. ამასთან, სექსუალური შევიწროების ფაქტების განხილვისას, შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებები, როგორცაა, მიმონერა, აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერი, მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ფსიქოლოგის/ფსიქიატრის დასკვნა.

8.1. მტკიცების სტანდარტი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3633 მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა უნდა წარადგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

აქედან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორი წარმოადგენს ფაქტებს, რომელიც, ერთი შეხედვით (*prima facie*), სექსუალური შევიწროების შემადგენლობას ქმნის და მტკიცებულებას/მტკიცებულებებს, საჩივრის განხილვის დაწყებაზე უფლებამოსილ პირს წარმოეშობა ვარაუდი, რომ სექსუალური შევიწროება მოხდა. დაუშვებელია, დასაშვებობის ეტაპზე, სავარაუდო მსხვერპლს მოეთხოვოს ფაქტების და მტკიცებულებების იმოდენობით და ხარისხით წარმოდგენა, რაც უშუალოდ სექსუალური შევიწროების დასადგენად არის საჭირო. დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების ფაქტის განხილვისთვის საკმარისია ვარაუდის წარმოშობა და არა დარწმუნება, რომ ფაქტი ნამდვილად მოხდა. ფაქტის დადასტურება ან არდადასტურება მხოლოდ ყველა მტკიცებულების შეგროვების და სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ არის შესაძლებელი.

სექსუალური შევიწროების საქმეებში ასევე გამოიყენება მტკიცების სტანდარტები **უნდა სცოდნოდა (ought to have known) და ქალის მიერ**

გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable woman standard). მტკიცების ეს სტანდარტები სექსუალური შევიწროების ყველა საქმეში გამოსადეგი არ იქნება, მათი გამოყენების საჭიროება შეიძლება შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას დადგეს როდესაც სავარაუდო მსხვერპლი და სავარაუდო შემავიწროებელი ერთსა და იმავე ფაქტებზე მიუთითებენ, თუმცა, ქცევის სექსუალური ხასიათის ან არასასურველობის შესახებ მათი აღქმა განსხვავებულია.

8.1.1. უნდა სცოდნოდა (*ought to have known*)

სტანდარტი უნდა სცოდნოდა დაკავშირებულია სექსუალური შევიწროების ერთ-ერთ შემადგენელ არასასურველობის ელემენტთან. ეს სტანდარტი განსაკუთრებით იმ შემთხვევებშია გამოსადეგი, როდესაც სავარაუდო შემავიწროებელი სავარაუდო მსხვერპლის მიერ დასახელებულ ფაქტებს ეთანხმება, თუმცა, მიუთითებს, რომ ქცევა მსხვერპლისთვისაც მისაღები იყო.

სექსუალური შევიწროების დასადგენად აუცილებელია, ქცევა მსხვერპლისთვის არასასურველი იყოს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ არასასურველობა არ ნიშნავს იძულებითობას. ამასთან, პრაქტიკაში, ხშირად დგება იმის განსაზღვრის საჭიროება, რამდენად გასაგები, განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო მოპასუხისთვის, რომ მისი ქცევა ადრესატისთვის არასასურველი იქნებოდა. არის შემთხვევები, როდესაც, იმის მიუხედავად, რომ მსხვერპლისთვის შემავიწროებლის ქმედება, მიუღებელი და შეურაცხმყოფელია, თუმცა, მაინც ეთანხმება შემავიწროებელს და აქტიურად მონაწილეობს კომუნიკაციაში. აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ მსხვერპლი ნათლად არ აფიქსირებს წინააღმდეგობას და კომუნიკაციაში მონაწილეობს კიდევ, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ იგი არ განიცდის სექსუალურ შევიწროებას. ეს ფაქტი არ გამორიცხავს შემავიწროებლის პასუხისმგებლობას, რადგან, გონივრულობის ფარგლებში მსხვერპლთან ურთიერთობის, გარემოს და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (*ought to have known*),

რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის.

8.1.2. ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (*reasonable woman standard*)

ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (*reasonable woman standard*) გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო შემავიწროებელი ეთანხმება სავარაუდო მსხვერპლის მიერ დასახელებულ ფაქტორებზე გარემოებებს, თუმცა, მიუთითებს, რომ ქცევა არ იყო სექსუალური ხასიათის ან ეს ქცევა მსხვერპლისთვისაც სასურველი იყო. ეს სტანდარტი ითვალისწინებს სექსუალური შევიწროების მიმართ ქალისა და კაცის განსხვავებულ აღქმებს და სექსუალური შევიწროების ფაქტს ქალის პერსპექტივიდან განიხილავს; კერძოდ, თუ რა ქცევას მიიჩნევდა ქალი სექსუალურ შევიწროებად და რამდენად მისაღები იქნებოდა ეს ქცევა კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით (როგორცაა მაგალითად, ურთიერთობა შემავიწროებელთან, გარემო და ა. შ.). ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი გამოიცხავს, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევა ზოგადი, სხვა ქმედებების მსგავსი წესით შეფასდეს. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას საჭიროა იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა კონკრეტულ სოციალურ რამდენად დაცულია გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალი; სექსუალური ძალადობის და სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება; მსხვერპლის მდგომარეობა ძალადობის ან შევიწროების შესახებ საუბრის შემდეგ და ა.შ. მსგავსი სოციალური ფაქტორების მხედველობაში მიღება საქმის განხილვის სწორად წარმართვის და ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

8.2. მტკიცებულებების დასაშვებობა, სახეები და შეფასება

ზოგადად, სექსუალური შევიწროების შემთხვევები, მტკიცებულებების სიმრავლით არ გამოირჩევა, რადგან, როგორც წესი, ფარულად,

ორ ადამიანს შორის ხდება, შემავიწროებელი კი მტკიცებულებების შექმნას ერიდება.

სექსუალური შევიწროების საქმეებში გამოიყენება სხვა სამართლებრივი დავების მსგავსი მტკიცებულებები მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მიმონერა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, მესამე პირების/მონმეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ფსიქოლოგის/ფსიქიატრის დასკვნა. მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები სავარაუდო მსხვერპლი და სავარაუდო შემავიწროებელი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით, მოიკვლევენ და გამოითხოვენ საქმის განხილველი პირები.

ეს მტკიცებულებები შეიძლება შექმნილი იყოს როგორც სექსუალური შევიწროების მიმდინარეობისას, ასევე, ფაქტის დასრულების ან საჩივრის შეტანის შემდეგ. ამასთან, მტკიცებულებები შეიძლება ასახავდეს

- უშუალოდ სექსუალურ შევიწროებას
- უკვე მომხდარი სექსუალური შევიწროების შესახებ დეტალურ ინფორმაციას
- სექსუალური შევიწროების შესახებ არაპირდაპირ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება თანხვედრაში იყოს სხვა ფაქტებთან და მტკიცებულებებთან.

მტკიცებულებები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი. ეს დამოკიდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის შინაარსობრივ ღირებულებაზე. მაგალითად, მიმონერა, უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ მტკიცებულებად გამოიყენება, რადგან, როგორც წესი, ერთმნიშვნელოვნად გადმოსცემს ფაქტებს, რასაც სავარაუდო მსხვერპლი ჰყვება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მიმონერაში ფაქტები შეიძლება იმგვარად იყოს გადმოცემული, რომ ცალკე აღებული, სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად საკმარისი არ იყოს და ღირებულება მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეიძინოს. შეიძლება, ერთ საქმეში სექსუალური შევიწროება, მაგალითად, მხოლოდ აუდიო ჩანაწერის საფუძველზე დადგინდეს, თუმცა, სხვა საქმეში აუდიო ჩანაწერმა, მისი

შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ არაპირდაპირი, დამხმარე როლი შეასრულოს.

სექსუალური შევიწროების დასადგენად აუცილებელია, სახეზე იყოს პირდაპირი მტკიცებულება/მტკიცებულებები ან პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ერთიანობაში, თანმიმდევრულ და ერთმანეთთან შესაბამის სურათს ქმნის. არაპირდაპირი მტკიცებულებები განსაკუთრებით მაშინ არის ღირებული, როდესაც საქმეში არსებულ პირდაპირ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მოპასუხე საწინააღმდეგო არგუმენტებს წარმოადგენს, რომ, მაგალითად, მიმონერა ასახავს სექსუალური ხასიათის ქცევას, თუმცა, კომუნიკაცია მეორე მხარისთვის სასურველი იყო.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სავარაუდო მოპასუხემ, შესაძლოა, სავარაუდო მსხვერპლის მიერ ნათქვამი, მტკიცებულების (მაგ. მიმონერა, აუდიო ჩანაწერი) გარეშე დაადასტუროს, როგორც ფაქტი, თუმცა, თქვას, რომ ეს იყო ორმხრივი კომუნიკაცია ან მისი განზრახვა არა შევიწროება, არამედ ხუმრობა ან მეგობრული საუბარი იყო.

საბოლოოდ, საქმის განმხილველი პირი, სავარაუდო შემავიწროებლის პოზიციის მიუხედავად, კონკრეტულ მტკიცებულებას გამოიყენებს, მათ შორის, იმის მიხედვით:

- ასახავს თუ არა მტკიცებულება სექსუალური ხასიათის ქცევას
- იკვეთება თუ არა, რომ ქცევა მსხვერპლისთვის არასასურველია
- შეუქმნა თუ არა მსხვერპლს მტრული გარემო.

ამასთან, შეიძლება საჭირო გახდეს რომელიმე მტკიცებულების სარწმუნოების საკითხის შეფასება, რასაც ქვემოთ, შესაბამისი მტკიცებულების განხილვისას წარმოგიდგენთ.

8.2.1. მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

სავარაუდო მსხვერპლის ან სავარაუდო შემავიწროებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია,

ბუნებრივია, სხვა მტკიცებულებების გარეშე, სექსუალური შევიწროების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ვერ იქნება. ასე, შეიძლება შეიქმნას ვითარება, როდესაც სიტყვა სიტყვის წინააღმდეგ არის, მტკიცებულებით კი არც ერთი მხარის ნათქვამი არ დასტურდება.

ამის მიუხედავად, მხარეების პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვის სწორად დაწყებისა და წარმართვისთვის.

სავარაუდო მსხვერპლის პოზიცია და აღქმა საქმის განხილვის დაწყების საფუძველია. სავარაუდო სექსუალური შევიწროება იმ ფაქტებთან მიმართებით განიხილება, რაზეც საჩივრის ავტორი მიუთითებს. საჩივრის ავტორმა უნდა მიუთითოს, რომ მისთვის კონკრეტული ქცევა იყო არასასურველი და მტრული გარემოს შემქმნელი. ორგანიზაციის ხელმძღვანელს/საქმის განმხილველს სექსუალური შევიწროების ვარაუდი სწორედ საჩივრის ავტორის მონათხრობის საფუძველზე წარმოეშობა.

სავარაუდო შემავიწროებლის პოზიციას სავარაუდო მსხვერპლის მიერ დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით, შეუძლია, ასევე მისცეს მიმართულება პროცესს. მოპასუხის მიერ დასახელებული არგუმენტები მნიშვნელოვნად განაპირობებს განხილვის შემდგომ ნაბიჯებს და შესაძლო მტკიცებულებებს. მოპასუხის პოზიცია, შეიძლება, იყოს სხვადასხვანაირი:

- თქვას, რომ სავარაუდო მსხვერპლი ტყუის, მის მიერ დასახელებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ასევე, მოპასუხემ შეიძლება მიუთითოს, რომ საჩივრის ავტორის მიზანი მასზე შურისძიება ან მისი რეპუტაციის შელახვაა, მიმონერა კონტექსტიდან ამოგლეჯილია, ჩანაწერი არაავთენტურია და ა. შ.
- დაადასტუროს საჩივრის ავტორის მიერ მიუთითებული ფაქტები, მაგრამ თქვას, რომ კომუნიკაცია ორმხრივი იყო, სავარაუდო მსხვერპლის მხრიდან არასასურველობა არ დაფიქსირებულა

- დაადასტუროს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები, მაგრამ თქვას, რომ მისი მიზანი არა შევიწროება, არამედ ხუმრობა ან მეგობრული საუბარი იყო
- არ წარმოადგინოს პოზიცია, კომენტარი არ გააკეთოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტებზე.

აქედან გამომდინარე:

- ✓ თუ მოპასუხის პოზიციაა, რომ საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება, საქმის განმხილველ პირებს მოუწევთ მტკიცებულებების მოძიება, რომ დადგინდეს, რომელი მხარის მიერ მითითებული ფაქტები შეესაბამება სიმართლეს
- ✓ თუ მოპასუხე ფაქტებს ადასტურებს, თუმცა, ამბობს, რომ კომუნიკაცია ორმხრივი იყო, ფაქტის განმხილველ პირებს მოუწევთ მტკიცებულებების მოძიება, რომ დადგინდეს არასასურველობის საკითხი
- ✓ თუ მოპასუხე ფაქტებს ადასტურებს, თუმცა, ამბობს, რომ განზრახვა არა შევიწროება, არამედ ხუმრობა ან მეგობრული საუბარი იყო, საქმის განმხილველ პირებს მოუწევთ განსაზღვრონ, მომხდარი იყო თუ არა სექსუალური ქცევა, რომელიც ადრესატისთვის არასასურველი იყო (რამდენადაც, სექსუალურ შევიწროებას მიზანი და განზრახვა არ სჭირდება)
- ✓ თუ მოპასუხე საჩივრის ავტორის პოზიციაზე კომენტარს არ აკეთებს და საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, საქმის განმხილველი პირები მიიღებენ გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულებები არ არის, მოუწევთ მტკიცებულებების მოძიება

8.2.2. მიმონერა

მიმონერა შეიძლება განხორციელებული იყოს ტელეფონის, ელ.ფოსტის სოციალური ქსელის, რომელიმე აპლიკაციის ან სხვა საშუალებით სავარაუდო მსხვერპლსა და სავარაუდო

შემავიწროებელს შორის; სავარაუდო მსხვერპლსა და მესამე პირს შორის; სავარაუდო შემავიწროებელსა და მესამე პირს შორის.

როგორც წესი, მიმონერა ძალიან კარგი, პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ასახავს ფაქტებს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება, არაპირდაპირი მტკიცებულებაც იყოს, მაგალითად, თუ სექსუალური შევიწროების ამბავს სავარაუდო მსხვერპლი უყვება მესამე პირს ან თუ მიმონერის შინაარსი ლოგიკურად ესადაგება დანარჩენ ფაქტებს, მაგალითად, სავარაუდო შემავიწროებელი სავარაუდო მსხვერპლს ბოდიშს უხდის რაღაცისთვის, თუმცა, ბოდიშის მიზმი მიმონერიდან არ იკვეთება.

მიმონერაში შეიძლება

- ასახული იყოს როგორც უშუალოდ სექსუალური შევიწროების ფაქტი
- საუბარი იყოს წარსულში მომხდარი სექსუალური შევიწროების შესახებ
- ერთმნიშვნელოვნად არ იყოს საუბარი, თუმცა, მინიშნება იყოს წარსულში მომხდარი სექსუალური შევიწროების შესახებ.

სავარაუდო მსხვერპლის მიერ მიმონერის წარმოდგენის შემდეგ, სავარაუდო შემავიწროებლის პოზიცია შეიძლება იყოს შემდეგი:

- ✓ თქვას, რომ მიმონერა არ არის ავთენტური და ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვოს/საჭირო გახდეს
- ✓ თქვას, რომ მიმონერა ფრაგმენტული, კონტექსტიდან ამოგლეჯილია და წარმოადგინოს ან არ/ვერ წარმოადგინოს სრული მიმონერა
- ✓ თქვას, რომ მიმონერაში ასახული ფაქტები არ ნიშნავს სექსუალურ შევიწროებას მაგალითად, ურთიერთობა იყო ორმხრივი/ნებაყოფლობითი, ადგილი არ ჰქონდა სექსუალური ხასიათის ქცევას, ეს იყო ხუმრობა ან მეგობრული საუბარი და ა. შ.
- ✓ არ გააკეთოს კომენტარი

საჭიროების შემთხვევაში, მიმოწერის ავთენტურობის დადგენა ორგანიზაციის რესურსით ან ექსპერტიზის ჩატარების გზით შეიძლება გადამწყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ღირებულია მტკიცებულება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. მნიშვნელოვანია, საჯარო უწყებამ, ამ მხრივ, არ დაზოგოს რესურსი, რადგან სექსუალური შევიწროების შემთხვევები, ზოგადად, მტკიცებულებების სიმწირით გამოირჩევა და შესაბამისად, ყველა მტკიცებულება მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს.

8.2.3. აუდიო/ვიდეო ჩანაწერი

აუდიო და ვიდეო ჩანაწერი შეიძლება განხორციელებული იყოს როგორც ღიად, ასევე ფარულად. აუდიო-ვიდეო ჩანაწერში კომუნიკაცია შეიძლება მიმდინარეობდეს სავარაუდო მსხვერპლსა და სავარაუდო შემავიწროებელს შორის; სავარაუდო მსხვერპლსა და მესამე პირს შორის; სავარაუდო შემავიწროებელსა და მესამე პირს შორის.

როგორც წესი, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი ძალიან კარგი, პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ასახავს ფაქტებს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება, არაპირდაპირი მტკიცებულებაც იყოს, მაგალითად, თუ სექსუალური შევიწროების ამბავს სავარაუდო მსხვერპლი უყვება მესამე პირს ან თუ ჩანაწერის შინაარსი ლოგიკურად ესადაგება დანარჩენ ფაქტებს, მაგალითად, სავარაუდო შემავიწროებელი სავარაუდო მსხვერპლს ბოდიშს უხდის რაღაცისთვის, თუმცა, ბოდიშის მიზები მიმოწერიდან არ იკვეთება.

აუდიო/ვიდეო ჩანაწერში შეიძლება:

- ასახული იყოს როგორც უშუალოდ სექსუალური შევიწროების ფაქტი
- საუბარი იყოს წარსულში მომხდარი სექსუალური შევიწროების შესახებ
- ერთმნიშვნელოვნად არ იყოს საუბარი, თუმცა, მინიშნება იყოს წარსულში მომხდარი სექსუალური შევიწროების შესახებ.

სავარაუდო მსხვერპლის მიერ მიმოწერის წარმოდგენის შემდეგ, სავარაუდო შემავიწროებლის პოზიცია შეიძლება იყოს შემდეგი:

- ✓ თქვას, რომ ჩანაწერი არ არის ავთენტური და ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვოს/საჭირო გახდეს
- ✓ თქვას, რომ ჩანაწერი ფრაგმენტული, კონტექსტიდან ამოგლეჯილია და წარმოადგინოს ან არ/ვერ წარმოადგინოს სრული ჩანაწერი
- ✓ თქვას, რომ ჩანაწერში ასახული ფაქტები არ ქმნის სექსუალურ შევიწროებას მაგალითად, ურთიერთობა იყო ორმხრივი/ნებაყოფლობითი, ადგილი არ ჰქონდა სექსუალური ხასიათის ქცევას, ხუმრობა ან მეგობრული საუბარი იყო და ა. შ.
- ✓ არ გააკეთოს კომენტარი

საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერის ავთენტურობის დადგენა ორგანიზაციის რესურსით ან ექსპერტიზის ჩატარების გზით შეიძლება გადამწყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ღირებულია მტკიცებულება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ, ამ მხრივ, არ დაზოგოს რესურსი, რადგან სექსუალური შევიწროების შემთხვევები, ზოგადად, მტკიცებულებების სიმწირით გამოირჩევა და შესაბამისად, ყველა მტკიცებულება მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს.

ფარული აუდიო/ვიდეო ჩანაწერის დასამგებობა: როდესაც მტკიცებულებად წარმოდგენილია ფარული აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, მოპასუხემ, შესაძლოა, მისი დაუშვებლად ცნობა მოითხოვოს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება აქვს გაკეთებული, რომლის თანახმად, *კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე უფრო*

მაღლა დგას. [...] ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონდანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ და საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების საქმეებში ფარულად გაკეთებული ჩანაწერები მტკიცებულებად გამოიყენეს და ამის საფუძველზე, სექსუალური შევიწროების ფაქტიც დაადგინეს.

8.2.4. მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

მესამე პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. მესამე პირი ახსნა-განმარტება შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულება. პირდაპირი მტკიცებულება იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირი სექსუალური შევიწროების ფაქტს თავად შეესწრო, ირიბ მტკიცებულებად კი ჩაითვლება, თუ პირი საჩივრის ავტორის, სავარაუდო შემავიწროებლის ან სხვა ადამიანის მონათხრობს გადმოსცემს.

შეიძლება ზოგიერთმა ადამიანმა, სექსუალური შევიწროების საქმეზე ინფორმაციის მიწოდების

სანაცვლოდ, კონფიდენციალურობა მოითხოვოს და გამოკითხვას მხოლოდ ამ პირობით დათანხმდეს, რადგან, მაგალითად, შეეძინდეს რომელიმე მხარის მიერ შურისძიების, არ სურდეს ვინმესთან ურთიერთობის დაძაბვა და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხარეებს არ გადაეცემათ და საბოლოო დასკვნაში წყაროს დასახელების გარეშე მიეთითება. თუ მესამე პირი ანონიმურად დარჩება,

- ▶ ეს ინფორმაცია ორივე მხარისთვის კონფიდენციალური უნდა იყოს
- ▶ არ შეიძლება, გადანყვეტილება მხოლოდ კონფიდენციალურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იქნეს მიღებული, თუ სხვა პირდაპირი მტკიცებულება საქმეში არ არის.

8.2.5. ფსიქოლოგის/ფსიქიატრის დასკვნა

სავარაუდო მსხვერპლმა ან სავარაუდო შემავიწროებელმა შეიძლება, მტკიცებულების სახით, წარმოადგინოს საკუთარი ფსიქოემოციური მდგომარეობის შესახებ ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის დასკვნა. ამ დასკვნით, საჩივრის ავტორი შეიძლება ადასტურებდეს სექსუალური შევიწროების შედეგად მიყენებულ ფსიქოემოციურ ტრავმას; მოპასუხე კი დასკვნას წარმოადგენდეს იმის დასადასტურებლად, რომ სექსუალური შევიწროების დაბრალებამ ტრავმა მიაყენა.

ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის დასკვნის მტკიცებულებად გამოსაყენებლად აუცილებელია, საქმის განმხილველი პირები დარწმუნდნენ, რომ დასკვნას და მხარის ფსიქოემოციურ მდგომარეობას შორის არსებობს პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი. შეიძლება, მხარის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მართლაც მძიმე იყოს თუმცა, დასკვნის მტკიცებულებად გამოსაყენებლად, ნათლად უნდა მიუთითებდეს, რომ ამ მდგომარეობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ან ერთადერთი გარემოება განსახილველი სექსუალური შევიწროებაა.

დამხმარე წყაროები/ სასარბებლო ბმულები:

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის შესახებ: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba>

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 ივლისის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-shromit-urtiertobashi-seksualuri-shevitsroeba-momsakhureba-mom-sakhurebis-sanatsvlod-daadgina>

სახალხო დამცველის 2018 წლის 1 ნოემბრის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-seksualuri-shevitsroebis-faktebi-daadgina>

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 თებერვლის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-shromit-urtiertobashi-seksualuri-shevitsroebis-fakti-daadgina>

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 თებერვლის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-shromit-urtiertobashi-seksualuri-shevitsroebis-fakti-daadgina>

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 თებერვლის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-shromit-urtiertobashi-seksualuri-shevitsroebis-fakti-daadgina>

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 თებერვლის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba/sakhalkho-damtsvelma-shromit-urtiertobashi-seksualuri-shevitsroebis-fakti-daadgina>

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია (იხ. № 330210016001416304)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა (იხ. №ას-1155-1101-2014)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია (იხ. № 330210016001416304)

პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf>

ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის: <http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login>



გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქ. #87, 0179,
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 222 06 04
(+995 32) 2 22 08 07

www.unwomen.org
georgia.unwomen.org